

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი #16

2016 წლის 19 დეკემბერი

11.00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე თოდუა

კომისიის წევრები: გიორგი სარდლიშვილი, თამაზ ნათელაშვილი, ნუგზარ ჩანადირი, გიორგი ჭინჭარაული, იოსებ სამხარაძე, გურამ ანსიანი, გიორგი წონდელი, მიხეილ სტეფანიაშვილი, გიორგი კაჭარავა.

დღის წესრიგი:

1. საკითხი: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 09 დეკემბრის N 10/1/5885 წერილით წარმოდგენილი „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა.
2. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 დეკემბრის #58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
მომხს. ა. თოდუა

მოისმინეს:

საკითხი 1. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 9 დეკემბრის N10/1/5885 წერილით წარმოდგენილია დადგენილების პროექტთან „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და პრიორიტეტების დოკუმენტი. მან აღნიშნა რომ ამ პროექტებთან დაკავშირებით გამოთქმული ოყო შენიშვნები, 2016 წლის 25 ნოემბერს N03/2/181 წერილით პროექტები უკან გადაეგზავნა გამგეობას შენიშვნების გამოსწორების მოთხოვნით. შენიშვნების უმეტესობა გათვალისწინებული იქნა ახლად წარმოდგენილ პროექტში, თუმცა მასში არ არის ჩამონათვალი (ნუსხა) იმ ობიექტებისა, რომელიც უნდა დაფინანსდეს წარმოდგენილი ბიუჯეტიდან.

კომისიის წევრმა გურამ ანსიანმა აღნიშნა, რომ გარდა ზემოაღნიშნული შენიშვნისა პროექტში გაწერილი დასუფთავების მოსაკრებლის თანხების რაოდენობა არასრულად არის განსაზღვრული, რადგან მოსაკრებლის თანხა ფიზიკური პირებიდან მისაღები შემოსავლების გათვალისწინებით უნდა გაზრდილიყო დაახლოებით 200.0 ათას ლარით ამავე დროს წარმოდგენილი პროექტით და მასალებით არ ირკვევა ხდება თუ არა ხარჯების შემცირება 10%-ის ოდენობით 2016 წელთან შედარებით. .

გადაწყვეტის: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

მოისმინეს:

საკითხი 2. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 15 დეკემბრის N10/1/6148 წერილით წარმოდგენილია „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 დეკემბრის #58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი.

აღნიშნული პროექტის მიმართ შენიშვნები არ იქნა გამოთქმული.

გადაწყვეტის: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარე

ალექსანდრე თოდუა

კომისიის წევრები

იოსებ სამხარაძე

გიორგი სარდლიშვილი

გურამ ანსიანი

თამაზ ნათელაშვილი

ნუგზარ ჩანადირი

გიორგი ჭიჭარაული

გიორგი წონდელი

მიხეილ სტეფნიაშვილი

გიორგი კაჭარავა